

აკადემიური თავისუფლება

აკადემიური თავისუფლება – აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა უფლება, დამოუკიდებლად განახორციელონ სწავლება, სამეცნიერო კვლევა და სწავლა.

აკადემიური პერსონალისა და სტუდენტთა აკადემიური თავისუფლება უნივერსიტეტის მართვის ერთ-ერთი პრინციპია.

სტუდენტს უფლება აქვს:

- თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა;
- მონაწილეობა მიიღოს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში;
- პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის და სასწავლო პროცესის ხარისხის შეფასება;
- დაუშვებელია უნივერსიტეტის მიერ მატერიალური და ტექნიკური საშუალებების გამოყენება იმგვარად, რომ შეზღუდოს სტუდენტის აზრის გამოხატვის თავისუფლება ან დააწესოს ცენზურა.

✚ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, სტუდენტს საშუალება აქვს აირჩიოს 60 კრედიტიანი დამატებითი სპეციალობა ან არჩევითი კურსები პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული თავისუფალი კრედიტების ხარჯზე ნებისმიერი საგანმანათლებლო პროგრამიდან. დამატებითი პროგრამა (minor) არ ითვალისწინებს კვალიფიკაციის მინიჭებას და ორიენტირებულია სტუდენტისათვის გარკვეული კომპეტენციების განვითარებაზე.